

შპს იაკობზ დაუ ეგბერტს საქართველო

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	8
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	10

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	11
2. მომზადების საფუძველი	11
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	13
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	18
5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	18
6. სხვა შემოსავალი	20
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	20
8. კომერციული ხარჯები	21
9. ფული და ფულის ეკვივალენტები	21
10. ძირითადი საშუალებები	21
11. გუდვილი	21
12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	22
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22
14. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	22
15. პირობითი ვალდებულებები	22
16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	23

მმართველობის ანგარიშგება	24
--------------------------------	----

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს იაკოვზ დაუ ეგბერტს საქართველოს ხელმძღვანელობასა და მფლობელს დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს იაკოვზ დაუ ეგბერტს საქართველოს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - “პირობითი მოსაზრების საფუძველი” - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

როგორც ფინანსური ანგარიშგების მე-11 შენიშვნაშია განხილული, 2015 წლის 1 აპრილის ყავის ბიზნესის შესყიდვის ოპერაცია დაკლასიფიცირებული იყო როგორც საწარმოთა გაერთიანება. კომპანიას გუდვილის დაანგარიშებისას არ განუსაზღვრავს იდენტიფიცირებადი აქტივების რეალური ღირებულება, რაც წარმოადგენს ფასს 3-ის მოთხოვნებიდან გადახვევას. შედეგად ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე სახის კორექტირებების შეტანა გუდვილისა და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ელემენტებთან მიმართებაში.

2020 წელს საქართველოს საგადასახადო ორგანოებმა დეკლარირებული გადასახადების შემცირების გამო კომპანიას დაუწესეს დამატებითი გადასახადები და მასთან დაკავშირებული ჯარიმები 2,903,170 ლარის ოდენობით და საურავები. კომპანიამ არ აღიარა ეს ვალდებულება ფინანსურ ანგარიშგებაში, რადგან გაასაჩივრა იგი თბილისის საქალაქო სასამართლოში. ამრიგად, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ვალდებულების საბალანსო ღირებულება 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის შემცირებულია ზემოთ მოცემული თანხით.

კომპანია დაკავშირებულ მხარეებთან 2024 და 2023 წელს განხორციელებულ ოპერაციებზე საბაზრო პირობებთან შესაბამისობის (Transfer-pricing) დოკუმენტაციის მომზადების პროცესშია. შედეგად, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები ამ ოპერაციასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე სახის კორექტირებების შეტანა აღურიცხავ საგადასახადო ვალდებულებებთან (აქტივებთან) და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ელემენტებთან მიმართებაში.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის კომპანიას სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარდგენილი აქვს მესამე მხარეზე გაცემული ფასდათმობები 339,656 ლარის ოდენობით. ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება ამ ოპერაციებთან დაკავშირებით. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე სახის კორექტირებების შეტანა აღნიშნულ თანხასთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ელემენტებთან მიმართებაში.



კომპანიამ არ გამოიყენა შემოსავლებისა და ხარჯების შესაბამისი კლასიფიკაციები, რასაც გავლენა არ მოუხდენია საბოლოო შედეგზე. კერძოდ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარდგენილია:

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის (ლარი):

გაზრდილი ღირებულებით:

ამონაგები ყავის რეალიზაციიდან	1,697,220
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2,100,907
კომერციული ხარჯები	299,532

შემცირებული ღირებულებით:

გაყიდული ყავის თვითღირებულება	2,400,439
სხვა შემოსავლები	1,697,220

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის (ლარი):

გაზრდილი ღირებულებით:

ამონაგები ყავის რეალიზაციიდან	1,158,927
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2,643,754
კომერციული ხარჯები	473,164

შემცირებული ღირებულებით:

გაყიდული ყავის თვითღირებულება	3,116,918
სხვა შემოსავლები	1,158,927

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აზრები

გვინდა გავამახვილოთ თქვენი ყურადღება ფინანსური ანგარიშგების მე-14 შენიშვნაზე, რომელიც აღწერს, რომ კომპანია თავისი მარაგების უმეტეს ნაწილს შეისყიდის დაკავშირებული მხარეებისგან. ჩვენი მოსაზრება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ არის მოდიფიცირებული.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვექონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და

ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნაგანმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.



დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას;

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-720718)

შპს ბიდიო აუდიტის სახელით

თბილისი, საქართველო

25 სექტემბერი 2025

შპს იაკობ ჯაფარიძის საქართველო

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარი)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები ყავის გაყიდვიდან		74,374,706	56,218,959
გაყიდული ყავის თვითღირებულება		(52,747,998)	(36,228,758)
საერთო მოგება		21,626,708	19,990,201
სხვა შემოსავალი	6	1,465,476	1,120,148
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(7,110,388)	(7,011,755)
კომერციული ხარჯები	8	(4,820,613)	(4,167,863)
საოპერაციო მოგება		11,161,183	9,930,731
ფინანსური შემოსავალი	9	513,880	447,774
ფინანსური ხარჯი		(1,442)	(3,175)
წმინდა ზარალი საკუთროს სხვაობიდან		(5,421,786)	(3,068,815)
მოგება დაბეგვრამდე		6,251,835	7,306,515
მოგების გადასახადის ხარჯი		(466,082)	(1,427,752)
მთლიანი სრული შემოსავალი		5,785,753	5,878,763

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 25 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი	_____	კახაბერ მურაჩაშვილი
მთავარი ბუღალტერი	_____	თამარ ჭანტურია

შპს იაკობზ დაუ ეგბერტს საქართველო

სრული შემოსავლის ანგარიშგება


2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები ყავის გაყიდვიდან		74,374,706	56,218,959
გაყიდული ყავის თვითღირებულება		(52,747,998)	(36,228,758)
საერთო მოგება		21,626,708	19,990,201
სხვა შემოსავალი	6	1,465,476	1,120,148
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(7,110,388)	(7,011,755)
კომერციული ხარჯები	8	(4,820,613)	(4,167,863)
საოპერაციო მოგება		11,161,183	9,930,731
ფინანსური შემოსავალი	9	513,880	447,774
ფინანსური ხარჯი		(1,442)	(3,175)
წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან		(5,421,786)	(3,068,815)
მოგება დაბეგვრამდე		6,251,835	7,306,515
მოგების გადასახადის ხარჯი		(466,082)	(1,427,752)
მთლიანი სრული შემოსავალი		5,785,753	5,878,763

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 25 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



კახაბერ მურაჩაშვილი

მთავარი ბუღალტერი



თამარ ჭანტურია

შპს იაკობ ღაუ ეგბერტს საქართველო
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	9,709,952	7,680,782
აქტივის გამოყენების უფლება		110,752	274,567
გუდვილი	11	22,110,317	22,110,317
		<u>31,931,021</u>	<u>30,065,666</u>
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		-	1,133
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	8,437,139	7,944,768
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	6,210,125	3,773,605
		<u>14,647,264</u>	<u>11,719,506</u>
სულ აქტივები		<u>46,578,285</u>	<u>41,785,172</u>
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		8,176,270	8,176,270
გაუნაწილებელი მოგება		24,917,345	22,131,592
		<u>33,093,615</u>	<u>30,307,862</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები		-	77,769
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	12,877,012	10,846,676
საგადასახადო ვალდებულებები		584,498	416,222
საიჯარო ვალდებულებები		23,160	136,643
		<u>13,484,670</u>	<u>11,399,541</u>
სულ ვალდებულებები		<u>13,484,670</u>	<u>11,477,310</u>
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		<u>46,578,285</u>	<u>41,785,172</u>

შპს იაკოვზ დაუ ეგბერტს საქართველო

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი 2022	8,176,270	24,939,785	33,116,055
დივიდენდები	-	(8,686,956)	(8,686,956)
მთლიანი სრული შემოსავალი	-	5,878,763	5,878,763
31 დეკემბერი 2023	8,176,270	22,131,592	30,307,862
დივიდენდები	-	(3,000,000)	(3,000,000)
მთლიანი სრული შემოსავალი	-	5,785,753	5,785,753
31 დეკემბერი 2024	8,176,270	24,917,345	33,093,615

შპს იაკობს დაუ ეგბერტს საქართველო

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის

(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		6,251,835	7,306,515
ცვლილებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		1,360,545	996,821
ფინანსური ხარჯი		1,442	3,175
ფინანსური შემოსავალი		(513,880)	(447,774)
ძირითადი საშუალების ჩამოწერა		48,648	-
წმინდა ზარალი საკუროსო სხვაობიდან		5,421,786	3,068,815
		12,570,376	10,927,552
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში:			
მარაგების შემცირება		1,133	7,555
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება		(524,975)	1,443,553
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა		4,090,471	1,922,998
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა		168,276	711,812
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		16,305,281	15,013,470
გადახდილი მოგების გადასახადი		(466,082)	(1,427,752)
გადახდილი პროცენტი საიჯარო ვალდებულებებზე		(1,442)	(3,175)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		15,837,757	13,582,543
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(4,386,145)	(2,892,744)
მიღებული პროცენტი	9	513,880	447,774
წმინდა ფულადი ნაკადების გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან		(3,872,265)	(2,444,970)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
საიჯარო ვალდებულებებზე დაფარული ძირი		(173,550)	(166,147)
გადახდილი დივიდენდები		(3,000,000)	(8,686,956)
წმინდა ფულადი ნაკადების გადინება ფინანსური საქმიანობიდან		(3,173,550)	(8,853,103)
ფულის და ფულის ეკვივალენტის ზრდა		8,791,942	2,284,470
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისისთვის		3,773,605	3,920,332
საკუროსო სხვაობის ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტში		(6,355,422)	(2,431,197)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის		6,210,125	3,773,605

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „იაკობზ დაუ ეგბერტს საქართველო“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2014 წლის დეკემბერში. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა იაკობსისა და კარტ ნუარის ბრენდების ყავის იმპორტი და ადგილობრივი დისტრიბუცია.

კომპანიის იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ.#29. კომპანიის დირექტორია კახაბერ მურაჩაშვილი.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მფლობელია „იაკობზ დაუ ეგბერტს ინთერნეიშნალ B.V.“, რომელიც დარეგისტრირებულია და ოპერირებს ნიდერლანდების კანონმდებლობით. კომპანიის საბოლოო მკონტროლებელი იურიდიული პირი არის „Acorn Holdings B.V“.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-5 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში რიცხვები მოცემულია დამრგვალების გარეშე თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის.

ახალი სტანდარტების მიღება, ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შესული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

მიწოდების ფინანსური შეთანხმებები (შესწორება ბასს 7-ში და ფასს 7-ში). IASB-იმ შეიმუშავა ვიწრო მასშტაბის სტანდარტის კორექტირება, რამაც გამოიწვია შესწორება. შესწორებები მოითხოვს, საწარმოებმა მოამზადონ გარკვეული სპეციფიკური განმარტებები (ხარისხობრივი და რაოდენობრივი), რომელიც შეეხება მიწოდების ფინანსურ შეთანხმებებს. შესწორებები ასევე იძლევა მითითებებს მიწოდების ფინანსური შეთანხმებების მახასიათებლებზე.

საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება). შესწორების თანახმად, გამყიდველ-მოიჯარეს მოეთხოვება იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადახდები“ ან „გადასინჯული საიჯარო გადახდები“, რომ არ აღიაროს გამყიდველი-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.

ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად (ბასს 1-ში შესწორება) შესწორების თანახმად, საწარმოს მოეთხოვება გააჩნდეს ვალდებულების დაფარვის გადავადების არსებითი უფლება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სულ მცირე თორმეტი თვით და აღნიშნული უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს ალბათობა იმისა, რომ საწარმო გამოიყენებს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადავადებასთან დაკავშირებით.

კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები (ბასს 1-ში შესწორება) შესწორების თანახმად, თუ საწარმოს გადავადების უფლება წარმოადგენს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების საგანს, ასეთი პირობები გავლენას ახდენს მაშინ, როცა უფლება არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმომ შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ან დასრულებისას და არა მაშინ, როცა საწარმო ვალდებულია დააკმაყოფილოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. აღნიშნული შესწორება, ასევე, განმარტავს „დაფარვის“ მნიშვნელობას, ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის მიზნით.

ეს ცვლილებები ფასს-ების სხვადასხვა სტანდარტებში ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან. არცერთი მათგანი არსებით გავლენას არ ახდენს კომპანიის 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბ) სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვრიდან

გასაცვლელი სავალუტო კურსის არ არსებობა (შესწორება ბასს 21-ში) შესწორება წარმოადგენს მოთხოვნას, შეფასდეს როდის იცვლება ვალუტა სხვა ვალუტაში და როდის არა. შესწორება საწარმოს სთხოვს განსაზღვროს სპოტ სავალუტო კური, როდესაც საწარმო დაასკვნის რომ ვალუტა სხვა ვალუტაში არ იცვლება.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2026 წლის 1 იანვრიდან

ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებაში (შესწორებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში). ცვლილებები შეეხო შემდეგ მოთხოვნებს ფასს 9-სა და ფასს 7-ში:

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

- ელექტრონული გადარიცხვით ანგარიშსწორებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა;

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია

- ძირითადი საკრედიტო შეთანხმების მნიშვნელოვანი ელემენტები (მხოლოდ ძირის დაფარვა და პროცენტის შეფასება – ‘SPPI ტესტი’);
- სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ცვლიან ფულადი ნაკადების ვადებს ან სიდიდეს;
- ფინანსური აქტივი რეგრესის უფლების გარეშე;
- ინვესტიციები ხელშეკრულებით დაკავშირებულ ინსტრუმენტებში.

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

- ინვესტიციები კაპიტალის ინსტრუმენტებში, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა მთლიანი შემოსავლის ასახვით;
- სახელშეკრულებო პირობები, რომლებმაც შეიძლება შეცვალონ ფულადი ნაკადების სახელშეკრულებო ვადა ან მოცულობა.

ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება. წლიური გაუმჯობესება შემოიფარგლება ცვლილებებით, რომლებიც აზუსტებს ფასს სტანდარტების ფორმულირებას ან ასწორებს სტანდარტის მიერ გამოწვეულ მცირე არასასურველ შედეგებს.

- მცირე დაზუსტებები და გაუმჯობესება შეეხება შემდეგ სტანდარტებს: IFRS 1, IFRS 7, IFRS 9, IFRS 10 და IAS 7 (მაგალითად, ჰეჯირების აღრიცხვა, საიჯარო ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა).

ხელშეკრულებები, რომლებიც ეხება ბუნებაზე დამოკიდებულ ელექტროენერგიას (აღრე ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებები) (ფასს 9-სა და ფასს 7-ში ცვლილებები). ცვლილებები მოიცავს:

- „საკუთარი მოხმარების“ მოთხოვნების გამოყენების დაზუსტება;
- ჰეჯირების აღრიცხვის ნებართვა, თუ ეს ხელშეკრულებები გამოიყენება ჰეჯირების ინსტრუმენტებად; და
- ახალი ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნების დამატება, რათა ინვესტორებს შეეძლოთ გააცნობიერონ ამ ხელშეკრულებების გავლენა კომპანიის ფინანსურ მაჩვენებელზე და ფულად ნაკადებზე.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვრიდან

ფასს 18 წარდგენა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში. ფასს 18, რომელიც გამოქვეყნდა ბასს-ის მიერ 2024 წლის 9 აპრილს, ასახავს მნიშვნელოვან ახალ მოთხოვნებს თუ როგორ არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, განსაკუთრებული აქცენტით შემდეგ საკითხებზე:

- მოგება-ზარალის ანგარიშგება, მათ შორის მოთხოვნები სავალდებულო შუალედური ჯამების წარდგენის შესახებ.
- ინფორმაციის დაჯგუფება და ჩაშლა, მათ შორის ზოგადი პრინციპების დანერგვა, თუ როგორ უნდა მოხდეს ინფორმაციის დაჯგუფება და ჩაშლა ფინანსურ ანგარიშგებებში.
- ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ შესრულების ზომებთან (MPMs) დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება, რომელიც წარმოადგენს ფინანსური ეფექტურობის საზომებს, რომელიც ეფუძნება ფასს სტანდარტების მიერ მოთხოვნილ ჯამს ან შუალედურ ჯამს.

ფასს 19 შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშგებულების გარეშე: ახსნა-განმარტებითი შენიშვნები. 2024 წლის 9 მაისს, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IASB) გამოსცა IFRS 19 რომელიც შესაბამის შვილობილ კომპანიებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ შემცირებული გამჟღავნების მოთხოვნები ფასს სტანდარტების აღიარების, შეფასებისა და წარდგენის მოთხოვნების გამოყენებისას. საწარმოს მიერ ფასს 19-ის გამოყენების დასაშვები კრიტერიუმებია:

- საწარმო არის შვილობილი კომპანია;
- საწარმოს არ გააჩნია საჯარო ანგარიშგებულება; და
- საწარმოს ჰყავს საბოლოო ან შუალედური მშობელი, რომელიც აწარმოებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც ხელმისაწვდომია საჯარო გამოყენებისთვის, რომელიც შეესაბამება სრულ ფასს სტანდარტებს.

ამჟამად, კომპანია აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე. კომპანიას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებულ ამ და სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა კომპანიაზე.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ფასს 15 - ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან

შესასრულებელი ვალდებულებები და შემოსავლის აღიარების დროულობა

კომპანია ძირითადად შემოსავლებს იღებს ყავის პროდუქტების რეალიზაციიდან, კომპანია იყენებს დისტრიბუტორს პროდუქტების საბოლოო მომხმარებელამდე მისატანად. როდესაც დისტრიბუტორი მიიღებს პროდუქტს, კონტროლი გადაეცემა მას, რაც კომპანიისთვის წარმოადგენს მტკიცებულებას, რომ კონტროლის გადაცემის ყველა კრიტერიუმი კმაყოფილდება და შემოსავალს აღიარებს დროის გარკვეულ მომენტში. ყველა შეთანხმებაში კომპანია არის მარწმუნებელი და შემოსავალს აღიარებს მთლიანი ანაზღაურებით. დისტრიბუტორს არ აქვს უფლება დააბრუნოს პროდუქტი ან მიიღონ გადახდილი თანხა უკან.

გარიგების ფასის განსაზღვრა

კომპანია შემოსავლებს იღებს ფიქსირებული ფასით განსაზღვრული შეთანხმებებიდან, რომელიც პერიოდულად შესაძლოა შეიცვალოს ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე. კომპანია არ ითვალისწინებს დაფინანსების კომპონენტს, რადგან დისტრიბუტორი პროდუქტის მიწოდებიდან 15-30 დღეში ფარავს ვალდებულებას. კომპანიას არ აქვს არაფულადი ანაზღაურების შემთხვევები.

გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებებზე.

თითოეული პროდუქტის გაყიდვის დროს, კომპანიას წინასწარ აქვს შეთანხმებული ფასები. აქედან გამომდინარე კომპანიას არ იყენებს მსჯელობას გაანაწილოს გარიგების ფასი თითოეული შეკვეთისთვის.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშვება მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. მიწოდებული პროდუქტის თვითღირებულების ჩამოწერა ხარჯებში აღიარებულია პროპორციულად შემოსავალთან ერთად. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	დოლარი	ევრო	რუბლი
31 დეკემბერი 2024	2.8068	2.9306	0.0254
31 დეკემბერი 2023	2.6894	2.9753	0.0299

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით. კომპანია არ რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს მოგებაში ან ზარალში ასახვით. კომპანია ფინანსური აქტივის კლასიფიკაციას განსაზღვრავს მისი საწყისი აღიარებისას.

ამორტიზირებული ღირებულება

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აქტივს ფლობს იმ ბიზნესმოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად. ფინანსური აქტივები თავდაპირველად აღიარდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივების შეძენასთან და შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელსაც აკლდება გაუფასურების რეზერვი. კომპანია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის იყენებს გამარტივებულ მიდგომას ფასს 9-ის მიხედვით ერთ-ერთი ამგვარი გამარტივებული მიდგომის მაგალითია მოთხოვნისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლა ანარიცხების (რეზერვების) მატრიცის გამოყენებით. კომპანია იყენებს საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს მოთხოვნისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად.

ამორტიზებადი ღირებულებით დაკლასიფიცირებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებსა და ფულს და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები არის ადვილად გაცვლიადი წინასწარ ცნობილ ნაღდი ფულის ოდენობაზე 3 თვემდე დაფარვის ვადით და მისი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც ორი კატეგორია, იმის მიხედვით რა მიზნით ფლობს კომპანია ამა თუ იმ ვალდებულებას: რეალური ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსური ვალდებულებები. კომპანია არ ფლობს ფინანსური ვალდებულებებს რეალური ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა ვალდებულებების და საიჯარო ვალდებულების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განტეხული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

რეალური ღირებულებით შეფასება

ფასს 7-ის შესაბამისად კომპანიას მოეთხოვება ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას კომპანია ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- დონე 1: იდენტიური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი აქტიურ ბაზარზე (დაუკორექტირებელი ფასი);
- დონე 2: პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ;
- დონე 3: ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე.

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. საუკეთესო მტკიცება რეალური ღირებულების არის ფასი აქტიურ ბაზარზე. აქტიური ბაზარი ის ბაზარია, სადაც მოცემული აქტივით ან ვალდებულებით ოპერაციები საკმარისად ხშირად და საკმარისი მოცულობით სრულდება, რაც ფასების შესახებ ინფორმაციის მოპოვების საშუალებას იძლევა მუდმივად. აქტიურ ბაზარზე მიმოქცევადი ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება შეფასდება, როგორც ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასის გამრავლებით საწარმოს განკარგულებაში არსებული ერთეულების რაოდენობაზე. ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით, საიჯარო ვალდებულებების - მეორე დონის მიხედვით, სხვა დანარჩენი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება განსაზღვრულია მესამე დონის საფუძველზე.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის 5 წლიან ვადაზე, გარდა ყავის აპარატებისა, რომლებისთვისაც განსაზღვრულია სასარგებლო მომსახურების ვადა 7 წელი.

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

გუდვილი

გუდვილი თავდაპირველად ფასდება როგორც სხვაობა შემდეგი მაჩვენებლების: გადაცემული კომპენსაცია, ნებისმიერი არამოკრთოლებელი წილი შეძენილ საწარმოში და შეძენილ იდენტიფიცირებადი აქტივებისა და აღებული ვალდებულებების შეძენის თარიღისათვის წმინდა ღირებულებას შორის. თუ შეფასების შემდგომ, შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივებისა და აღებული ვალდებულებების წმინდა ღირებულება აღემატება გადაცემულ კომპენსაციას, კომპანია ხელახლა აფასებს სწორად დაადგინა თუ არა ყველა შეძენილი აქტივი და ყველა აღებული ვალდებულება და განიხილავს პროედურებს, რომლებიც გამოიყენება შეძენის ღირებულების აღიარებული თანხების შესაფასებლად.

თუ ხელახალი შეფასების შედეგად შეძენილი წმინდა აქტივების რეალური ღირებულება მეტია გადაცემულ კომპენსაციაზე, მაშინ ნამეტი აღიარდება მოგება-ზარალში.

ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს კომპანია მიმოიხილავს არსებობს თუ არა გუდვილის გაუფასურების ნიშნები. გუდვილის გაუფასურების განსაზღვრად დგინდება ანაზღაურებადი ღირებულება თითოეული

ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის (ან ჯგუფისთვის) რომელსაც ეს გუდვილი მიეკუთვნება. თუ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის (ან ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში. გუდვილის გაუფასურების ზარალი კომპენსირება არ ხდება მომავალ პერიოდებში.

მატერიალური აქტივების და გუდვილის გაუფასურება, გარდა მარაგებისა

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია მიმოიხილავს ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურებაზე იტესტება აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება) საბალანსო ღირებულება. გაუფასურების ზარალი

მოგება ზარალში აღიარდება იმ მოცულობით, რა მოცულობითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები. თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების ფინანსური ანგარიშგების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

დაბეგრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახადი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯებს, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. კომპანიის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება როდესაც მოხდება ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები. ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები წარმოადგენენ მოვლენებს, რომლებიც წარმოშობენ გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები გაანგარიშებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარებულია როგორც აქტივები. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, ფინანსურ ანგარიშგებაში ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ნეტ საფუძველზე, როგორც საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია შენატანის სამართლიანი ღირებულებით.

დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. შუალედური და საბოლოო დივიდენდების დამტკიცება ხდება, მფლობელთა საერთო კრებაზე.

ხელფასები და თანამშრომელთა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომი აღრიცხვა თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს ყველა შემენის ხარჯსა და ხარჯებს რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ყოველ საანგარიშგებო პერიოდში ხდება მარაგების შეფასება გაუფასურებაზე. თუ აღმოჩნდა, რომ მარაგები გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება გაყიდვის ფასს მინუს გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები არის ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აღიარდება ფინანსური ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის გადინება სავარაუდოა და ამგვარი ვალდებულებების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის გადინება არაა მოსალოდნელი.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ თანახმად, დაკავშირებულ მხარეებს შეიძლება წარმოადგენდეს:

- მხარე პირდაპირ ან ერთი ან რამდენიმე შუალედური რგოლის საშუალებით არაპირდაპირ აკონტროლებს კომპანიას, კონტროლდება კომპანიის მიერ ან იმყოფება ერთობლივი კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ კომპანიებს) კომპანიაში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია რომ შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოპოვება მასზე.
- მხარე არის კომპანიის ან მისი მფლობელის უმაღლესი მმართველი პირი;
- მხარე არის (ა) ან (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
- მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (გ) პუნქტში გათვალისწინებულ რომელიმე პირს ან, რომელშიც მნიშვნელოვანი გავლენის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პირები.

როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი შინაარსი.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლობის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

გადასახადები. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანია ახორციელებს ბევრ ოპერაციას და გაანგარიშებას, რომელთაგანაც საბოლოო დაბეგვრის საკითხები განსაზღვრული არაა. შედეგად კომპანია საგადასახადო ვალდებულებებს აღიარებს სავარაუდო შეფასებების საფუძველზე, იმის შესახებ ექნება თუ არა ადგილი დამატებით გადასახადების და პროცენტის დარიცხვას. სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის წასრული გამოცდილების ანალიზის და საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების მიხედვით, კომპანია თვლის, რომ მის მიერ გაკეთებულ საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვები ადეკვატურია ყველა არაუდიტირებული წლისთვის. ეს მოსაზრება ეყრდნობა დაშვებებს და შეფასებებს და შეიძლება შეიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალ მოვლენებზე.

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

საქმიანობის პროცესში კომპანია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
 - სავალუტო რისკი
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

კომპანიისთვის რისკის წარმომქმნელი ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიებია: ფული და ფულის ეკვივალენტები; სავაჭრო და სხვა მოთხოვნები; სავაჭრო და სხვა ვალდებულებები და საიჯარო ვალდებულებები.

ყველა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით. ფული და ფულის ეკვივალენტების, სავაჭრო მოთხოვნების და სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, მათი მოკლევადიანი ბუნების გამო, შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას. საიჯარო ვალდებულებები შეფასებულია რეალური ღირებულების მეორე დონეზე.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის.

კომპანიის ხელმძღვანელობა ყოველთვიური რეპორტების მიმოხილვის საფუძველზე ადგენს დანერგილი პროცესების ეფექტურობასა და იმ მიზნებისა და პოლიტიკის ეფექტურობას შესაბამისობას რომელსაც დანერგილი პროცესები არეგულირებს.

კომპანიის ხელმძღვანელობა საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. შემდომი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არ დაფარვის შემთხვევაში. კომპანიას საკრედიტო რისკი ძირითადად წარმოეშვა, როდესაც ხდება კრედიტით გაყიდვები.

საკრედიტო რისკის მართვა რისკების მართვის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. მნიშვნელოვანი ფინანსური ზარალის თავიდან აცილების მიზნით კომპანია იყენებს სხვადასხვა მეთოდებს რათა აღმოაჩინოს და მართოს საკრედიტო რისკი ეფექტურად. მენეჯმენტმა შეიმუშავა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის თანახმადაც ხდება ყოველი ახალი კლიენტის კრედიტუნარიანობის ანალიზი, სანამ მოხდება კლიენტისთვის კომპანიის სტანდარტული გადახდის და მიწოდების ვადების და პირობების შეთავაზება.

მენეჯმენტი საკრედიტო რისკის მოცულობას ადგენს დებიტორული დავალიანების ყოველთვიური ვადიანობის ანალიზით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში.

ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ყველა ფინანსური ვალდებულების დაფარვის ვადები 12 თვემდეა, გარდა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული 77,769 ლარის საიჯარო ვალდებულებისა , რომელსაც ხელშეკრულებით დადგენილი გადახდის ვადები ჰქონდა 1-დან 5 წლამდე.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტის ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი).

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი (ცვლადი მნიშვნელობით), რომელიც დაკავშირებულია საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებთან, რადგანაც განაკვეთი არის ცვალებადი. კომპანიას არ გააჩნია საპროცენტო განაკვეთის მქონე არსებითი ვალდებულებები ან აქტივები.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშვა რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

	ლარი	დოლარი	ევრო	რუბლი
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7,943,814	-	403,755	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	6,208,659	-	1,466	-
	14,152,473	-	405,221	-
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,192,632	335,998	3,016,435	5,254,303
საიჯარო ვალდებულებები	-	23,160	-	-
	4,192,632	359,158	3,016,435	5,254,303
ღია საბალანსო პოზიცია	9,959,841	(359,158)	(2,611,214)	(5,254,303)

შპს იაკობზ დაუ ეგბერტს საქართველო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

	ლარი	დოლარი	ევრო	რუბლი
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7,482,388	-	371,978	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	3,648,376	-	125,229	-
	11,130,764	-	497,207	-
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,630,883	-	4,369,280	2,770,116
საიჯარო ვალდებულებები	-	214,412	-	-
	3,630,883	214,412	4,369,280	2,770,116
ღია საბალანსო პოზიცია	7,499,881	(214,412)	(3,872,073)	(2,770,116)

სავალუტო რისკის მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას უცხოური ვალუტის ლართან მიმართებაში 20%-ით ცვლილების შემთხვევაში. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება მენეჯმენტის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას.

წმინდა მოგებაზე და კაპიტალზე გავლენა დამყარებული აქტივების ღირებულებაზე წარმოდგენილია ქვემოთ:

	31 დეკემბერი 2024		31 დეკემბერი 2023	
	+ 20%	- 20%	+ 20%	- 20%
დოლარის ეფექტი მოგება/(ზარალი)	(71,832)	71,832	(42,882)	42,882
ევროს ეფექტი მოგება/(ზარალი)	(522,243)	522,243	(774,415)	774,415
რუბლის ეფექტი მოგება/(ზარალი)	(1,050,861)	1,050,861	(554,023)	554,023

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსის შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მეწილეებისათვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მეწილეებისათვის სარგებელი რისკის დონის თანაბარზომიერად საქონლისა და მომსახურების შეფასებით.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

6. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი შედგება საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიებისთვის გაწეული მომსახურებიდან, როგორიცაა გაყიდვების მხარდაჭერა, ლოჯისტიკა, ადამიანური რესურსები, მარკეტინგი და სხვა.

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
ხელფასები, ბონუსები და თანამშრომლის სხვა სარგებელი	(2,931,105)	(2,219,355)
მმართველობით მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები*	(1,812,294)	(2,671,164)
ცვეთა და ამორტიზაცია	(1,360,545)	(996,821)
მივლინება	(370,695)	(497,870)
საკონსულტაციო და პროფესიული ხარჯები	(282,663)	(272,231)
სხვა	(353,086)	(354,314)
	(7,110,388)	(7,011,755)

*მმართველობით მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები წარმოადგენს დამფუძნებლისა და საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიებისგან მიღებული შემდეგ მომსახურებებს: ბუღალტრულ აღრიცხვის ზედამხედველობა, ფინანსური ანგარიშგების მომზადების მხარდაჭერა, პროგრამული მხარდაჭერა და ა.შ.

8. კომერციული ხარჯები

	2024	2023
როიალტის ხარჯი	(2,400,439)	(1,892,194)
რეკლამის ხარჯი	(1,630,404)	(1,518,263)
პრომო აქციები	(789,770)	(757,406)
	(4,820,613)	(4,167,863)

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება მიმდინარე საბანკო ანგარიშზე განთავსებული ფულადის სახსრებისგან. მიმდინარე ანგარიშზე თანხის განთავსებისთვის კომპანიამ 2024 და 2023 წლებში მიიღო საპროცენტო შემოსავალი 513,880 და 447,774 ლარის ოდენობით, წლების შესაბამისად. ფული და ფულის ეკვივალენტების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-5 შენიშვნაში.

10. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	ყავის აპარატები	კომპიუტერული ტექნიკა და ავეჯი	სხვა	სულ
31 დეკემბერი 2022	6,544,013	474,080	348,668	7,366,761
შემოსვლა	2,796,557	98,542	6,097	2,901,196
გასვლა	(9,221)	-	-	(9,221)
31 დეკემბერი 2023	9,331,349	572,622	354,765	10,258,736
შემოსვლა	3,219,809	47,516	6,097	3,273,422
გასვლა	(61,886)	-	-	(61,886)
31 დეკემბერი 2024	12,489,272	620,138	360,862	13,470,272
დაგროვილი ცვეთა				
31 დეკემბერი 2022	(982,266)	(408,478)	(348,668)	(1,739,412)
ცვეთა	(808,983)	(29,203)	(356)	(838,542)
31 დეკემბერი 2023	(1,791,249)	(437,681)	(349,024)	(2,577,954)
ცვეთა	(1,155,618)	(39,778)	(208)	(1,195,604)
გასვლა	13,238	-	-	13,238
31 დეკემბერი 2024	(2,933,629)	(477,459)	(349,232)	(3,760,320)
ნეტო საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი 2023	7,540,100	134,941	5,741	7,680,782
31 დეკემბერი 2024	9,555,643	142,679	11,630	9,709,952

ყავის აპარატების შესყიდვა ხდება მათი მესამე მხარეებზე გაქირავების და საიჯარო შემოსავლის მიღების მიზნით. 2024 წელს საიჯარო შემოსავალმა მოიჯარისგან შეადგინა 1,697,220 ლარი (2023 წელი: 1,158,927 ლარი).

11. გუდვილი

2015 წლის 1 აპრილის ბიზნესის გადაცემის შეთანხმების საფუძველზე, კომპანიამ შეიძინა ყავის ბიზნესი შპს მონდელეზ ჯორჯიასგან. ეს ხელშეკრულება გაფორმებული იყო გლობალური ხელშეკრულების საფუძველზე რომელიც გაფორმდა 2014 წლის 7 მაისს შემდეგ მხარეებს შორის: Mondelez International Holding LLC, Acorn Holding B.V., Charger Top Holdco B.V. და Charger OPCO B.V. ეს ოპერაცია დაკლასიფიცირდა როგორც ბიზნეს გაერთიანება, სხვაობა გადახდილ ანაზღაურებასა და მიღებული აქტივების საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდა როგორც გუდვილი 22,110,317 ლარის ოდენობით.

შპს იაკობზ დაუ ეგბერტს საქართველო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარი)

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2024	2023
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	7,943,814	7,482,388
სხვა მოთხოვნები*	403,755	371,978
	8,347,569	7,854,366
არაფინანსური მოთხოვნები		
წინასწარ გაწეული ხარჯები	89,570	90,402
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8,437,139	7,944,768

ფინანსური მოთხოვნების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-5 შენიშვნაში. კომპანია არ ფლობს რაიმე სახის უზრუნველყოფას.

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2024	2023
ფინანსური ვალდებულებები დაკავშირებული:		
როიალტის და მმართველობის მომსახურებასთან	695,944	864,789
საქონლის მომწოდებლებთან	7,188,055	4,260,312
ძირითადი საშუალებების მომწოდებელთან	915,625	2,028,348
სხვა	2,196,061	2,197,284
სატრანსპორტო მომსახურებასთან	1,479,512	1,127,763
გადასახდელი ხელფასები	324,171	291,783
	12,799,368	10,770,279
არაფინანსური ვალდებულებები		
გამოუყენებელი შვებულების ანარიცხები	77,644	76,397
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12,877,012	10,846,676

ფინანსური ვალდებულებების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-5 შენიშვნაში.

14. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის ნაშთები და ოპერაციები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
	საერთო კონტროლის ქვეშ	საერთო კონტროლის ქვეშ
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	403,755	371,978
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8,197,492	4,998,644
მარაგების შესყიდვები	51,849,239	37,456,967
სრული შემოსავლის ანგარიშგება		
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(1,812,294)	(2,671,164)
კომერციული ხარჯები	(2,400,439)	(1,892,194)
სხვა შემოსავალი	1,407,250	1,120,148

2024 წლისთვის უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება მოიცავს თანამშრომელთა მოკლევადიან სარგებელს 313,665 ლარის ოდენობით (2023 წელი: 294,464 ლარი).

15. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით სასაგადასახო

ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის განსაზღვრა საიმედოდ არის შესაძლებელი. ანარიცხი არ აღიარდება, ისეთ სადაო საგადასახადო საკითხებზე, რომლის დასაბეგრი თანხის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

დივიდენდის განაწილება

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით, კომპანია გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებასა და ხარჯს აღიარებს განაწილებულ დივიდენდზე, იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის დივიდენდი, ან როდის მოხდა დივიდენდების საბოლოო განაწილება.

პოტენციურად მაქსიმალური გადასახდელი მოგების გადასახადი, რომელიც შეიძლება კომპანიას წარმოექმნას გაუნაწილებელი მოგების მთლიანად დივიდენდის სახით განაწილების შემთხვევაში, არ არის აღიარებული კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში. მომავალში, არსებული გაუნაწილებელი მოგებიდან განაწილებული დივიდენდების შემთხვევაში გადასახდელი მოგების გადასახადის მაქსიმალურმა ოდენობამ შეიძლება შეადგინოს 3,737,602 ლარი.

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

არამაკორექტირებელი მოვლენები:

2025 წლის 1 მაისს კომპანიამ ახალი იჯარის ხელშეკრულება გააფორმა ოფისის ფართისა და პარკინგისთვის ახალ მეიჯარესთან. ხელშეკრულება ნომინირებულია აშშ დოლარში და მისი ვადა ხუთ წელს შეადგენს. წინა იჯარის ხელშეკრულება ანგარიშგების პერიოდის დასრულების შემდეგ ამოიწურა.

მმართველობის ანგარიშგება

შპს იაკოვზ დაუ ეგბერტს საქართველო

ს/ნ 405076830

საანგარიშგებო პერიოდი - 2024 წ

სარჩევი:

კომპანიის ბიზნესის განვითარება, საქმიანობის შედეგები და მდგომარეობა..... 26

კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები..... 26

კომპანიის სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ საკონსტრუქტორო სამუშაოს მიმოხილვა 27

ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ 27

ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები..... 27

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ 30

დამატებით განმარტებები წლიურ ფინანსურ ანგარიშგებში ასახული თანხების შესახებ..... 31

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები..... 31

კომპანიის ბიზნესის განვითარება, საქმიანობის შედეგები და მდგომარეობა

შპს „იაკობზ დაუ ეგბერტს საქართველო“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც საქართველოში დაარსდა 2014 წლის დეკემბერში. კომპანიის მოქმედების აქტიური ეტაპი დაიწყო 2015 წლის აპრილში, როდესაც კომპანიამ შეიძინა ყავის ბიზნესი შპს Mondelēz Georgia– სგან (ბიზნესის გადაცემის ხელშეკრულება შესრულდა 2015 წლის 1 აპრილს). Jacobs Douwe Egberts International B.V. (მშობელი) კომპანიის კაპიტალის 100% -ს ფლობს. 2017 წლის 12 ივნისს კომპანიამ შეიცვალა სახელი შპს „იაკობზ საქართველო“-დან და ფუნქციონირებას აგრძელებს შპს „იაკობზ დაუ ეგბერტს საქართველო“-ს სახელით.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა JDE-ის ყავის ბრენდების იმპორტი და ადგილობრივი დისტრიბუციაა. კომპანია პასუხისმგებელია ადგილობრივ გაყიდვებზე და მარკეტინგულ საქმიანობაზე. კომპანია პროდუქციის იმპორტს ახორციელებს ჯგუფის საწარმოო ობიექტებიდან ძირითადად რუსეთიდან, ხოლო გამონაკლის შემთხვევებში უკრაინიდან, ყაზახეთიდან, ჰოლანდიიდან და ბითუმად ყიდის მას დისტრიბუტორზე - შპს მეგაკო და შპს კავკაზ ტრეიდეზ.

კომპანია 2019 წლის დეკემბრიდან ახორციელებს ყავის აპარატების ეტაპობრივ შეძენას, რომელსაც იჯარით გასცემს თავის დისტრიბუტორებზე შპს „მეგაკო“ და შპს „მასტერ კოფე“-ზე. დისტრიბუტორები კი ქვეიჯარით გასცემენ მათ სხვადასხვა ობიექტებზე. აღნიშნულის საშუალებით, ხდება პროფესიული ხაზის – ყავის მარცვლების გაყიდვების მოცულობის ზრდა.

კომპანიამ 2023 წლის ნოემბრიდან გააფართოვა თავისი საქმიანობა და დაიწყო ჩაის ექსპორტი და ადგილობრივი დისტრიბუცია.

კომპანია არის პასუხისმგებელი სხვადასხვა მარკეტინგული ღონისძიებების დაგეგმვასა და წარმართვაზე, რომლებიც მიზნად ისახავს ბრენდის პოპულარიზაციას, ბაზარზე პროდუქციის ხილვადობას და შემდგომში გაყიდვების წახალისებას. კომპანიის პორტფელი მოიცავს შემდეგ ბრენდებს: Jacobs, Carte Noire, Maxwell House, L'OR, Pickwick Tea. კომპანია, მასსა და Koninklijke Douwe Egberts B.V.- ს შორის დადებული სალიცენზიო ხელშეკრულებების საფუძველზე ფლობს არაექსკლუზიურ უფლებებს აღნიშნული სავაჭრო ნიშნის გამოყენების შესახებ.

საქართველოში ყავის ბაზარი წარმოდგენილია მრავალი მწარმოებლებით და ბრენდებით. მოთამაშეები არიან როგორც ადგილობრივი მწარმოებლები ასევე საერთაშორისო კომპანიები. საბითუმო ბაზარი წარმოდგენილია 3 ძირითად ქვეკატეგორიად: ხსნადი ყავა, დაფქული ყავა და ყავის მიქსები. კომპანია ყიდის სამივე ქვეკატეგორიის პროდუქციას. ფასწარმოქმნისას კომპანია ითვალისწინებს პროდუქციის თვითღირებულებას, კომპანიის მიზნებს და ბაზრის ვითარებას.

კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები

კომპანია მზარდი და მომგებიანია. კომპანიის ძირითადი მიზნებია:

- გაყიდვების ზრდა;
- ყავის ნაირსახეობის ინოვაციური პროდუქტების შეთავაზება;
- მომხმარებელთათვის და ზოგადად ყავის კატეგორიის პოპულარიზაცია საქართველოში.

კომპანია აგრძელებს მუშაობას საქართველოში ცივი ყავის ე.წ. Ready To Drink პოპულარიზაციას. ასევე, კომპანია მუშაობს ყავის პროფესიული ხაზის მიმართულებით, რაც გულისხმობს ყავის აპარატების და შესაბამისი პროდუქციის შეთავაზებას კლიენტებისთვის. ასევე, მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს არსებული ასორტიმენტის განახლება და მომხმარებლების გახალისება საინტერესო შეთავაზებებით.

კომპანიის სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ საკონსტრუქტორო სამუშაოს მიმოხილვა

2024 წელს კომპანიას არ განუხორციელებია სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ საკონსტრუქტორო სამუშაოები.


ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ

კომპანიას არ აქვს ფილიალები.


ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ფინანსურ მაჩვენებლებზე საუბრისას აღსანიშნავია, რომ კოვიდ პანდემიამ და რუსეთ-უკრაინის კონფლიქტმა არსებითი გავლენა არ იქონია კომპანიის გეგმების შესრულებაზე და საქმიანობის შედეგები აჩვენებს კომპანიის შემოსავლების, საერთო, საოპერაციო და წმინდა მოგებების ზრდას.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების ანალიზი:




გრაფიკი ასახავს კომპანიის ძირითადი საქმიანობიდან შემოსავლების ზრდის დინამიკას 2020-2024 წლებისათვის. შემოსავლების ზრდის ტენდენცია მზარდია და უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში აღწევს 5-სა და 32 პროცენტს.



გრაფიკი ასახავს 2020-2024 წლების საერთო მოგების დინამიკას. 2024 წელს საერთო მოგების მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით 8%-ით არის გაზრდილი.


ამავე პერიოდის საერთო მოგების მარჟა კი შემდეგია:

2024	2023	2022	2021	2020
29.1%	35.6%	36.2%	40%	42%



2024 წლის საოპერაციო მოგების მაჩვენებელი 2023 წელთან შედარებით 2%-ით არის შემცირებული. საოპერაციო მოგების მარჟა კი ამავე პერიოდებში შემდეგია:

	2024	2023	2022	2021	2020
საოპერაციო მოგების მარჟა	15%	18%	19%	22%	23%



კომპანიამ 2019 წლიდან დაიწყო დივიდენდების განაწილების პროცესი. შესაბამისად 2019 - 2021 წლებში მოგება შეამცირა მოგების გადასახადის ხარჯმა. 2022 წელს დივიდენდი არ განაწილებულა, შესაბამისად არ ყოფილა მოგების გადასახადის ხარჯი, მუხედავად 2022 წელს წმინდა მოგება შემცირებულია 15 %ით, ძირითადი მიზეზი კლების იყო წმინდა სავალუტო ზარალი. 2023 წელს კომპანიამ ისევ გასცა დივიდენდი, რამაც გამოიწვია კლება მაჩვენებელში. 2024 წელსაც გაიცა დივიდენდი და შემცირდა წმინდა მოგება.

სხვა ფინანსური მაჩვენებლები შემდეგია:

ROCE უკუგება გამოყენებულ კაპიტალზე

2024	2023	2022	2021	2020
34%	33%	30%	39%	34%

აქტივების ბრუნვის კოეფიციენტი

2024	2023	2022	2021	2020
225%	185%	162%	179%	148%

საოპერაციო ლევერიჯი

2024	2023	2022	2021	2020
346%	274%	257%	182%	182%

სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი

2024	2023	2022	2021	2020
1.09	1.03	1.61	0.96	1.00

დებიტორული დავალიანების ამოღების პერიოდი
(დღეებში)

2024	2023	2022	2021	2020
41	52	64	41	29

ინფორმაცია ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლების შესახებ:

კომპანიის თანამშრომლების რაოდენობის სურათი 2020-2024 წლების განმავლობაში შემდეგია:



კომპანია მუდმივად ზრუნავს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და კეთილდღეობაზე. კომპანიაში დანერგილია თანამშრომელთა განვითარების სქემა. წლის დასაწყისში დგება თანამშრომელთა განვითარების გეგმა, რომელიც გათვლილია წლის ჭრილში. ეს შეიძლება იყოს როგორც პრაქტიკული, ასევე ტრეინინგების გავლის გზით მიღწეული.

კომპანიაში დანერგილია მენეჯერების აკადემია, რომელიც შედგება 9-13 ბლოკისგან და ზრუნავს ყველა მენეჯერის საერთო (soft skill) კვალიფიკაციის ამაღლებაზე (ფიდბექ სესია, გასაუბრების ჩატარება, გეგმების დასახვა, განვითარების გეგმის შედგენა და ბევრი სხვა).

ყველა კატეგორიის თანამშრომელი, რომელიც შეფასებულია ტოპ ტალანტად, გადის დამატებით ტრეინინგებს და მრავალმხრივ განვითარების გლობალურ კურსებს (მაგ.: RISE, 7 Habits Of Highly Effective People, personal coach etc).


ასევე ყველა თანამშრომელს აქვს წვდომა LD Café-ზე, სადაც წარმოდგენილია სხვადასხვა მიმართულების 8000-ზე მეტი ტრეინინგი, და მათ აქვთ საშუალება სასურველ დროს, ყველანაირი შეუზღუდვის გარეშე გაიარონ ტრეინინგები.

კეთილდღეობის მიზნით, კომპანიას აქვს თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევა, ასევე ფინანსდება სადილის თანხა და მობილურის ხარჯები.

კოვიდ პანდემიასთან დაკავშირებით მუდმივად ხდებოდა თანამშრომლებზე ზრუნვა, როგორც საინფორმაციო გზით, ასევე დისტანციურად მუშაობის პოლიტიკით. მუდმივ რეჟიმში ხორციელდებოდა მათთან კომუნიკაცია და პირადი/ჯანმრთელობითი მდგომარეობის კონტროლი.


სისტემატიურად ხორციელდება თიმბილდინგის აქტივობები.

კომპანიის შემოსავლები ყავის კატეგორიების მიხედვით 2020-2024 წლებისთვის შემდეგია:



როგორც გრაფიკებიდან ჩანს კომპანიის პორტფელის 85.00%-ს შეადგენს ხსნადი ყავა (instants).

ბრენდების მიხედვით კი შემდეგი სურათია:



ბრენდი იაკობსი კომპანიის გაყიდვების ლიდერობას აგრძელებს და 2024 წელს მთლიანი პორტფელის 77,00% უჭირავს.

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

კომპანიას არ გააჩნია თავისი საკუთარი აქციები და აგრეთვე არ ფლობს სხვა კომპანიის აქციებს.

დამატებით განმარტებები წლიურ ფინანსურ ანგარიშგებში ასახული თანხების შესახებ

კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანია გაყიდვებს ახორციელებს, როგორც წინასწარ გადახდის ასევე შემდგომი გადახდის პირობით. პროდუქციის შემდგომი გადახდის პირობით რეალიზაციისას საკრედიტო ლიმიტის ხანგრძლივობა შეადგენს 30 კალენდარულ დღეს. კომპანია ასევე სარგებლობს საკრედიტო ლიმიტებით თავის მიერ შესყიდულ პროდუქციაზე თუ მიღებულ მომსახურებაზე. ამ შემთხვევაში საკრედიტო ლიმიტი დიფერენცირებულია და შეადგენს 5-დან 160 კალენდარულ დღეს.

ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. ვინაიდან კომპანიას არ გააჩნია სასეხო ვალდებულებები და ობლიგაციები, აქვს საკმარისი საბრუნავი კაპიტალი, შესაბამისად, კომპანია ლიკვიდურობის პრობლემის წინაშე არ დგას.

კომპანიას მინიმუმდე აქვს დაყვანილი საპროცენტო რისკი, რადგან არ ფლობს საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებს.

საქონლის შესყიდვას ახორციელებს რა უცხო ქვეყნებიდან, ხოლო გაყიდვები ადგილობრივ ვალუტაშია, კომპანია დგას სავალუტო რისკის წინაშე.

რუსეთ-უკრაინის კონფლიქტამდე კომპანიას უკრაინიდან შემოჰქონდა ყავის გარკვეული სახეობის მიქსები, რისი შემოტანაც 2021 წლიდან 2022 წლის ოქტომბრამდე შუძლევდა გახდა რადგან გაჩერებული იყო ქარხანა, რომელშიც ხდებოდა აღნიშნული პროდუქციის წარმოება. 2022 წლის ოქტომბრიდან აღვადგინეთ შემოტანა. კომპანია ამ ეტაპზე აგრძელებს რუსეთში წარმოებული ყავის იმპორტს და რეალიზაციას. აგრეთვე განიხილავს სხვა მომარაგების ალტერნატივებს. მაგალითად, იმ შემთხვევაში თუ შეუძლებელი იქნება რუსეთში წარმოებული ყავის შემოტანა კომპანია გადაერთვება გერმანიის და პოლონეთის ჯგუფის ქარხნებზე და ამ ქვეყნებიდან გააგრძელებს ყავის იმპორტს და რეალიზაციას.

კომპანიისთვის სხვა არსებული ძირითადი რისკები დეტალურად გაშიფრულია ფინანსური ანგარიშგების მე-5 შენიშვნაში. სხვა მნიშვნელოვანი რისკები, რომლებიც გავლენას ახდენენ კომპანიაზე და რომელშიც შესაძლო ცვლილებების განმარტება იქნებოდა საჭირო კომპანიაში არ იდენტიფიცირდება.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა) ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 25 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

კახაბერ მურაჩაშვილი

მთავარი ბუღალტერი

თამარ ჭანტურია

დამატებით განმარტებები წლიურ ფინანსურ ანგარიშგებში ასახული თანხების შესახებ

კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანია გაყიდვებს ახორციელებს, როგორც წინასწარ გადახდის ასევე შემდგომი გადახდის პირობით. პროდუქციის შემდგომი გადახდის პირობით რეალიზაციისას საკრედიტო ლიმიტის ხანგრძლივობა შეადგენს 30 კალენდარულ დღეს. კომპანია ასევე სარგებლობს საკრედიტო ლიმიტებით თავის მიერ შესყიდულ პროდუქციაზე თუ მიღებულ მომსახურებაზე. ამ შემთხვევაში საკრედიტო ლიმიტი დიფერენცირებულია და შეადგენს 5-დან 160 კალენდარულ დღეს.

ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. ვინაიდან კომპანიას არ გააჩნია სასეხო ვალდებულებები და ობლიგაციები, აქვს საკმარისი საბრუნავი კაპიტალი, შესაბამისად, კომპანია ლიკვიდურობის პრობლემის წინაშე არ დგას.

კომპანიას მინიმუმდე აქვს დაყვანილი საპროცენტო რისკი, რადგან არ ფლობს საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებს.


საქონლის შესყიდვას ახორციელებს რა უცხო ქვეყნებიდან, ხოლო გაყიდვები ადგილობრივ ვალუტაშია, კომპანია დგას სავალუტო რისკის წინაშე.

რუსეთ-უკრაინის კონფლიქტამდე კომპანიას უკრაინიდან შემოჰქონდა ყავის გარკვეული სახეობის მიქსები, რისი შემოტანაც 2021 წლიდან 2022 წლის ოქტომბრამდე შეუძლებელი გახდა რადგან გაჩერებული იყო ქარხანა, რომელშიც ხდებოდა აღნიშნული პროდუქციის წარმოება. 2022 წლის ოქტომბრიდან აღვადგინეთ შემოტანა. კომპანია ამ ეტაპზე აგრძელებს რუსეთში წარმოებული ყავის იმპორტს და რეალიზაციას. აგრეთვე განიხილავს სხვა მომარაგების ალტერნატივებს. მაგალითად, იმ შემთხვევაში თუ შეუძლებელი იქნება რუსეთში წარმოებული ყავის შემოტანა კომპანია გადაერთვება გერმანიის და პოლონეთის ჯგუფის ქარხნებზე და ამ ქვეყნებიდან გააგრძელებს ყავის იმპორტს და რეალიზაციას.

კომპანიისთვის სხვა არსებული ძირითადი რისკები დეტალურად გაშიფრულია ფინანსური ანგარიშგების მე-5 შენიშვნაში. სხვა მნიშვნელოვანი რისკები, რომლებიც გავლენას ახდენენ კომპანიაზე და რომელშიც შესაძლო ცვლილებების განმარტება იქნებოდა საჭირო კომპანიაში არ იდენტიფიცირდება.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა) ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 25 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



კახაბერ მურაჩაშვილი

მთავარი ბუღალტერი



თამარ ჭანტურია